

[www.silknet.com](http://www.silknet.com)მის: თბილისი, წინამძღვრიშვილის 95; ტელ: 2 100 100, ელ.ფოსტა: [info@silknet.com](mailto:info@silknet.com)

## აქციის დანართი N---

ქ. \_\_\_\_\_

\_\_\_\_\_ 2019 წელი

აბონენტი (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საკონტაქტო ნომერი, ელ. ფოსტა):

ადასტურებს, რომ ეთანხმება ქვემოთმოცემულ „აქციის“ პირობებს:

- „აქციის“ დასახელება: " თემატური პაკეტის აქცია"
- აქციის პირობები :

1. წინამდებარე აქციის ფარგლებში (შემდგომში "აქცია"), "სილქნეტის" აბონენტები, ოპტიკურ ორმაგ შეთავაზებაზე (გარდა ორმაგი შეთავაზების "პრემიუმ +" და "სუპერდრაივი" კომბინაციის 75 ლარიანი პაკეტისა) ან/და "სილქ +" აქციაზე (გარდა "სილქ +" 119 ლარიანი პაკეტისა) რეგისტრაციისას ისარგებლებენ თემატური პაკეტებით: "სპორტ ექსკლუზივი" და "კინო ექსკლუზივი" - 2 (ორი) თვის განმავლობაში, სილქ ტვ-ის სააბონენტო გადასახდელის ფარგლებში.
2. აქციაზე რეგისტრაციის პერიოდი განისაზღვრება 2019 წლის 1 თებერვლიდან - 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
3. აქციის მოქმედების პერიოდი განისაზღვრება აბონენტის აქციაში ჩართვიდან 2 თვის ვადით.
4. აქციის პირობით ინსტალაციის პერიოდი განისაზღვრება 2020 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.
5. აქცია ვრცელდება შემდეგ აბონენტებზე / ფიზიკურ პირებზე:
  - 5.1. სპეციალური ფასდაკლების მქონე ოპტიკური ორმაგი შეთავაზებით ან "სილქ +" აქციით მოსარგებლე აბონენტები, რომლებიც არ სარგებლობენ თემატური პაკეტ(ებ)ით "კინო ექსკლუზივი" ან/და "სპორტ ექსკლუზივი";
  - 5.2. სპეციალური ფასდაკლების მქონე ოპტიკური ორმაგი შეთავაზებით, ან "სილქ +" აქციით მოსარგებლე აბონენტები, რომლებიც სარგებლობენ თემატური პაკეტ(ებ)ით "კინო ექსკლუზივი" ან/და "სპორტ ექსკლუზივი";
  - 5.3. მომსახურების მიღების მსურველი პირები/აბონენტები, რომლებიც წინამდებარე აქციის პირობებით რეგისტრაციის პერიოდში, ან წინამდებარე აქციის პირობებით რეგისტრაციის ვადის დაწყებამდე დარეგისტრირდნენ ოპტიკურ ორმაგ შეთავაზებაზე ან "სილქ +" აქციაზე და არ უფიქსირდებათ თემატური პაკეტ(ებ)ი "კინო ექსკლუზივი" ან/და "სპორტ ექსკლუზივი";
  - 5.4. მომსახურების მიღების მსურველ პირები/აბონენტები, რომლებიც წინამდებარე აქციის პირობებით რეგისტრაციის პერიოდში, ან წინამდებარე აქციის პირობებით რეგისტრაციის ვადის დაწყებამდე დარეგისტრირდნენ ოპტიკურ ორმაგ შეთავაზებაზე ან "სილქ +" აქციაზე და უფიქსირდებათ თემატური პაკეტ(ებ)ი "კინო ექსკლუზივი" ან/და "სპორტ ექსკლუზივი";
  - 5.5. აქციაში შემავალი მომსახურების მიღების მსურველი პირები, რომლებიც წინამდებარე აქციის ძალაში შესვლის დღემდე დარეგისტრირდნენ "სილქ ტვ აქცია 1 თემატური 2 თვით" ან „1 თემატური 2 თვით სილქ+ აქციის აბონენტებისთვის“ აქციის პირობებით და მომსახურებების ინსტალაცია განხორციელდება წინამდებარე აქციის გაშვების შემდეგ;
  - 5.6. აქციის პირობებით სარგებლობის უფლება შეზღუდულია იმ აბონენტებისთვის, რომლებსაც სარგებლობენ ან ისარგებლებენ შემდეგი აქციის პირობებით: "სილქ ტვ აქცია 1 თემატური 2 თვით" ან „1 თემატური 2 თვით სილქ+ აქციის აბონენტებისთვის“ , გარდა 5.8. პუნქტით აღწერილი შემთხვევისა;
  - 5.7. წინამდებარე აქციის გაშვებიდან 2019 წლის 1 აპრილამდე პერიოდში, "სილქ ტვ აქცია 1 თემატური 2 თვით" და „1 თემატური 2 თვით სილქ+ აქციის აბონენტებისთვის“ აქციებით მოსარგებლე აბონენტებს, რომლებსაც სურთ დაიმატონ

**აბონენტებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების დანართი "თემატური პაკეტების აქციის" პირობების შესახებ**

[www.silknet.com](http://www.silknet.com)

მის: თბილისი, წინამძღვრიშვილის 95; ტელ: 2 100 100, ელ.ფოსტა: [info@silknet.com](mailto:info@silknet.com)

თემატური პაკეტ(ებ)ი, თემატური პაკეტ(ებ)ის დამატება მოხდება გააქტიურებული ("სილქ ტვ აქცია 1 თემატური 2 თვით" ან „1 თემატური 2 თვით სილქ+ აქციის აბონენტებისთვის“) აქციის გაუქმების შემდეგ. ასეთ შემთხვევაში დასაშვებია აბონენტისთვის აქციის ახალი პირობით ჩართვა.

6. წინამდებარე აქციის პირობები ვრცელდება ორმაგი შეთავაზების და "სილქ +" აქციის ყველა პაკეტზე, გარდა ორმაგი შეთავაზების 75 ლარიანი ("პრემიუმ +" და "სუპერდრაივის" კომბინაციის) და "სილქ +" აქციის "119 ლარიანი" პაკეტებისა;
7. აბონენტებს, რომლებიც აქციის პირობებით რეგისტრაციის პერიოდში დარეგისტრირდებიან მე-6 პუნქტით განსაზღვრულ პაკეტებზე, ან უკვე სარგებლობენ მე-6 პუნქტით განსაზღვრული პაკეტებით, შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ წინამდებარე აქციით, რომლის ფარგლებშიც მიიღებენ თემატურ პაკეტებს "კინო ექსკლუზივი" და "სპორტ ექსკლუზივი" 2 თვის განმავლობაში სილქ ტვ მომსახურების ძირითადი პაკეტის სააბონენტო გადასახდელის ფარგლებში;
8. წინამდებარე დანართის 5.1.-5.4. პუნქტებით განსაზღვრულმა აბონენტებმა, იმისათვის რომ ისარგებლონ წინამდებარე აქციის პირობებით, უნდა დააფიქსირონ სურვილი აქციის პირობებით სარგებლობაზე. 5.5. პუნქტით განსაზღვრულ აბონენტებზე წინამდებარე აქციის პირობები გავრცელდება ავტომატურად;
9. სპეციალური ფასდაკლების მქონე ოპტიკური ორმაგი შეთავაზებით ან "სილქ +" აქციით მოსარგებლე აბონენტებს, რომლებიც სარგებლობენ მე-6 პუნქტით განსაზღვრული პაკეტებით და 2019 წლის 6 თებერვლის მდგომარეობით არ აქვთ გააქტიურებული წინამდებარე აქციის პირობები, ამავე თარიღში ავტომატურად გაუაქტიურდებათ აქციის პირობები;
10. აქციის პირობებით რეგისტრაციის პერიოდში (თუ აბონენტი ამ პერიოდში ირთავს იმ მომსახურებებს, რომლებზეც აბონენტს ავტომატურად ეკუთვნის წინამდებარე აქცია) ან აქციის მოქმედების პერიოდში აბონენტს შესაძლებლობა აქვს, უარი განაცხადოს აქციის პირობებით სარგებლობაზე. აქციაზე უარის შემთხვევაში აბონენტს ეზღუდება ხელმოწერა აქციაში ჩართვის შესაძლებლობა;
11. აქციის მოქმედების პერიოდის ამოწურვის შემდეგ აბონენტს უნარჩუნდება აქციის ფარგლებში გააქტიურებული თემატური პაკეტები და დაერიცხება მათი სტანდარტული ღირებულება;
12. აქციის მოქმედების პერიოდში არ იზღუდება ორმაგ შეთავაზებაში ჩართული მომსახურებების (ერთდროულად ან ცალ-ცალკე) დროებით შეჩერების შესაძლებლობა. მომსახურებების აღდგენის შემდეგ გაგრძელდება მომსახურებების მიწოდება შეთავაზების პირობებით, თუმცა დროებით შეჩერების პერიოდში აქციის ვადის ათვლა არ წყდება.
13. "სილქ+" აქციით მოსარგებლე აბონენტებისთვის, აქციის მოქმედების პერიოდში შეზღუდულია "სილქ+" აქციის პაკეტით განსაზღვრული მომსახურებების დროებით შეჩერება. მომსახურების შესაჩერებლად უნდა მოხდეს "სილქ+" აქციის პაკეტის დაშლა, რაც გამოიწვევს აქციის პირობის გაუქმებას. აქციის გაუქმების შემდეგ აქციის ფარგლებში შერჩეულ თემატურ პაკეტ(ებ)ზე აბონენტს დაერიცხება სტანდარტული ღირებულება;
14. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე აქციის მოქმედების პერიოდში გაუქმდება ორმაგ შეთავაზებაში შემავალი ერთ-ერთი მომსახურება, ავტომატურად მოხდება წინამდებარე აქციის გაუქმებაც და აქციის ფარგლებში შერჩეულ/ჩართულ თემატურ პაკეტ(ებ)ზე აბონენტს დაერიცხება სტანდარტული ღირებულება; ასეთ შემთხვევაში იზღუდება აქციაში ხელახლა ჩართვის შესაძლებლობა;
15. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე აქციის მოქმედების პერიოდში აბონენტი დაშლის "სილქ+" აქციის პაკეტს, ავტომატურად მოხდება წინამდებარე აქციის გაუქმებაც და აქციის ფარგლებში შერჩეულ/ჩართულ თემატურ პაკეტ(ებ)ზე აბონენტს დაერიცხება სტანდარტული ღირებულება; ასეთ შემთხვევაში იზღუდება აქციაში ხელახლა ჩართვის შესაძლებლობა.
16. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე აქციის მოქმედების პერიოდში აბონენტი დაშლის "სილქ+" აქციის პაკეტს, ხოლო "სილქ+" აქციის პაკეტის დაშლის შემდეგ ინარჩუნებს ორმაგ შეთავაზებას, იმისათვის რომ აბონენტმა ისარგებლოს წინამდებარე აქციის პირობებით, ხელახლა უნდა დააფიქსიროს სურვილი წინამდებარე აქციის პირობებით სარგებლობაზე მე-2 პუნქტით განსაზღვრული აქციის რეგისტრაციის ვადის ამოწურვამდე; აღნიშნულ შემთხვევაში აბონენტი, აქციის პირობით ისარგებლებს იმ შემთხვევაში, თუ ორმაგ შეთავაზებაზე არ უსარგებლია წინამდებარე აქციის პირობებით;

აბონენტებთან გასაფორმებელი ხელშეკრულების დანართი "თემატური პაკეტების აქციის" პირობების შესახებ

[www.silknet.com](http://www.silknet.com)

მის: თბილისი, წინამძღვრიშვილის 95; ტელ: 2 100 100, ელ.ფოსტა: [info@silknet.com](mailto:info@silknet.com)

17. შეზღუდულია აქციის ფარგლებში გააქტიურებული თემატური პაკეტ(ებ)ის ცვლილება;
18. თუ აბონენტი გააუქმებს აქციით არჩეული თემატური პაკეტებიდან ერთ-ერთს, ავტომატურად გაუქმდება აქციის პირობები;
19. თუ ორმაგი შეთავაზების აბონენტი, რომელიც სარგებლობს წინამდებარე აქციის პირობებით, ჩაერთვება "სილქ +" აქციაში, ორმაგ შეთავაზებაზე მოხდება წინამდებარე აქციის პირობების ავტომატური გაუქმება; წინამდებარე აქციის პირობებით სარგებლობისთვის უნდა მოხდეს "სილქ +" პაკეტის არჩევის შემდგომ, წინამდებარე აქციაზე ხელმეორედ დარეგისტრირება;
20. მისარათის ცვლილებისას, აქციაში ჩართულ აბონენტს ცვლილებამდე არსებულ მისამართზე გააქტიურებული აქცია ახალ მისამართზე არ გადაყვება;
21. იმ შემთხვევაში, თუ მისამართის ცვლილებაზე რეგისტრაციისას, მე-2 პუნქტით განსაზღვრული პერიოდი არ არის დასრულებული და აბონენტი დარეგისტრირდება ორმაგ შეთავაზებაზე, აღნიშნული მომსახურებები დარეგისტრირდება აქციის პირობებით;
22. თუ ახალ მისამართზე მომსახურების ინსტალაცია განხორციელდება მე-4 პუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე, აბონენტი ისარგებლებს მე-6 პუნქტით განსაზღვრული აქციის პირობებით;
23. იმ შემთხვევაში, თუ ტექნოლოგიის ცვლილებაზე რეგისტრაციისას, მე-2 პუნქტით განსაზღვრული პერიოდი არ არის დასრულებული და აბონენტი რეგისტრირდება ორმაგ შეთავაზებაზე, აღნიშნული მომსახურება დარეგისტრირდება აქციის პირობებით;
24. თუ ახალ ტექნოლოგიაზე მომსახურების ინსტალაცია განხორციელდება მე-4 პუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე, აბონენტი ისარგებლებს მე-6 პუნქტით განსაზღვრული აქციის პირობებით.

მხარეთა ხელმოწერები:

სს „სილქნეტის“ წარმომადგენელი \_\_\_\_\_

აბონენტი \_\_\_\_\_